# ე რ ი

№ 17

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 21 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


„რადიუმი“

21, 23, 24 ნოემბერს.

I.

დიდ გზაზე

მონო-პოლიური დრ. 6 ნაწილათ. ასრულებ. მიუნხენის სამხატვრო-თეატრის მსახიობნი

II.

პატარა გაუგებრობა

დიდი კომიკური სურათი.

რადგან სურათი დიდია, ამიტომ მხოლოდ სამი სეანსი მოეწყობა ერთ საღამოს.

დასაწყისი საღ. 5 ს.

22 ნოემბერს სხვა პროგრამა იქნება კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.



დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

კავკზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაკოზოვი

და გ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო

საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ

ნაჭრებ ი.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.



## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

„ე რ ი“

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,

ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.

ერთი თვით. . . . 4 აბაზი.

და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.

გაზ. „ერის“ კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშუადღევის 5½—7 საათ. კვირა-უქმე დღეებში დილის 9—12.


გადაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე, კვირას, 24 ნოემბერს, ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

### არჩილ სიმონის ძის გუგუშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმა განსვენებულის ივანე სიმონის ძე გუგუშვილი, დები მისი ელისაბედ სიმონის ასული ბარკალაიასი და ირინე სიმონის ასული გვაჰიჩავასი და რძალი მაკრინე გიორგის ასული გუგუშვილისა.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ვ...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პარონსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„დ ე ლ ი-ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.



## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლოს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე „კლო ყლურული“ ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამუნობს ხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და ... მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში ვ. ტიეგო.


## ქუთაისის საადგილ-მამულო სათავ.-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4—5 ივნისის 1913 წ. მორიგ კრებაზე ბ.ბ. რწმუნებულთა დადგენილების თანახმათ, 24 ნოემბერს 1913 წ. დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში ქუთაისში

### დანიშნულია რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება,

რომელიც ბანკის წესდების § 89 პირველი მუხლის ძალით, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, რამდენი რწმუნებულიც არ უნდა დაესწროს.

კრების განსახილველ საგანს შეადგენს შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეული იყო რწმუნებულთა მიერ ამ წლის 6 ივნისის კრებაზე, მიხეილის სათავ.-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა შტატის შემუშავების შესახებ.

2. მოხსენება ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებული სხდომისა მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგინი პენსიის დამსახურებამდი დაანებებენ სამსახურს თავს.

3. ბანკის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეისყიდოს ბირჟაზე გასაუქმებელი გირავნობის ფურცლები ტირაჟში მათი დაქრობით.


**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიქარაძისა.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმმა** ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**დაბა ზესტაფონი**

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**კბილის აქიმი** მახარაშვილი გადავიდა სტეფანოვის სახლში, ბალახვანის ქუჩის დასაწყისი.


## სახელმწიფო სათათბირო.

19 ნოემბრის სხდომა.

**როძიანკო** თავჯდომარეობს. მიიღეს წინადადება, რომ ოთხშაბათის საღამოს სხდომა პარასკევს მოხდეს. მორიგ საქმეთა შორის არის კანონპროექტი სახელმწიფო გადასახადის შესახებ. მსჯელობენ უძრავ ქონებაზე გადასახადის შესახებ.

**როსტოვცევი** აცხადებს: ფინანსიურმა კომისიამ არ სცნო სასურველათ ფინანსის მინისტრის წინადადების მიღება, რომელიც თხოულობდა ქალაქის უძრავ ქონებაზე ექვს პროცენტიანი ნორმის დაცვას. კომისამ გადასწყვიტა—შემცირდეს ეს პროცენტი, ხოლო პოლონეთში 10 პროცენტის მაგიერათ 9 პროცენტი იქნას შემოღებული. კომისიამ სასურველათ სცნო აგრეთვე, რომ ფინანსის მინისტრის ინსტრუქცია მომავალში ზემოთ ნახსენებ წერის მიხედვით იქნას შეცვლილი. თავჯდომარის ადგილს **კონოვალოვი** იჭერს. **დრიბინცევი** ვრცლათ ეხება 1910 წლის 6 ივნისის დებულებას და აღნიშნავს ამ კანონის შემოღებამ გადასახადი უძრავ ქონებაზე თითქმის ასი პროცენტით გაადიდა. ამ კანონის შემოღებას შემდეგ უძრავ ქონებაზე გადასახადისაგან თვრამეტ მილიონ ნახევარი და ერთი მანეთით მეტი შემოვიდა, რამდენსაც ფიქრობდა მთავრობა. გადასახადის 30 მილიონით ერთბაშათ გადიდება არა ნორმალურ მდგომარეობათ ჩაითვლება. ორატორს ოკტომბრისტთა სახელით ფორმულა შემოაქვს და თხოულობს, უძრავ ქონებაზე გადასახადის ნორმა ექვსი პროცენტის მაგიერათ დაწესდეს ოთხი პროცენტი და ეს ნორმა შემოღებულ იქნას მხოლოდ ორი წლით. **გეგეჭკორი** ამბობს: მესამე სათათბიროში შეიტანეს საკანონმდებლო წინადადება გადასახადის დაკლებისა და ოთხი პროცენტის ნორმის დაწესების შესახებ. უწყება ამ

წინადადებას თანაგრძნობით ეკიდებოდა, მაგრამ მიუხედა თუ არა საქმე, უწყებამ ისევ თავისი მოითხოვა. მაშინ მესამე სათათფირომ მიიღო უწყების მიერ შემუშავებული კანონი. ახალი კანონი ხელს უცარავს ქალაქში საამშენებლო მოღვაწეობას და აძლიერებს ცხოვრების გაძვირებას. კადეტების სახელით ორატორს სამი შესწორება შეაქვს. ზუსინი იცავს პროგრესისტთა შესწორებას, რომელიც ეხება სამი წლით გადასახადის დაკლებას. თხოულობენ შესწორებაში პოლონეთში უძრავ ქონებაზე 8 პროცენტიანი ნორმა დაწესდეს. მარკოვ-მეორეს უკვირს, რომ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები და პროგრესისტები მდიდართა, შეძლებულ კლასთა დამცველებათ გამოდიან. ქალაქის ამრჩევლები, რასაკვირველია, მათ ამგვარი დამცველობისათვის მადლობას გადაუხდიან. რუსეთის სახელმწიფო და რუსის ხალხი წინადადებას გადასახადის დაკლების შესახებ უარყოფით შეხვდებიან, ვინაიდან გადასახადების დაკლება იმათზე, ვისაც ამ გადასახადების გადახდა შეუძლია, გამოიწვევს გადასახადების ღარიბ კლასზე გაწერას. (ტაშისცემა მარჯვნივ).

დემჩენკო ამბობს: ყოველ გადასახადს არ განცალკავებულ ამრჩეველთა კურიისა, არამედ სამართლიანობის თვალით უნდა შევხედოთ. ქალაქის სიღარიბე უფრო მეტს მზრუნველობას თხოულობს, ვიდრე სოფლის, როდესაც სოფელს უბედურება დაატყდება თავს, მაშინ მთავრობა და სახელმწიფო დაწესებულებები მის დასახმარებლათ მზათ არიან. რაც შეეხება ქალაქის პროლეტარიატს მათზე მხოლოდ ქალაქის თვითმართველობანი ზრუნვენ, რომელნიც ამ საქმისათვის სალსარს მოკლებული არიან. დღევანდელი გადასახადი იმდენათ გადიდებულია, რომ მისი კიდევ უფრო გადიდება შეუძლებელია. ქალაქებს უნდა მიეცეს საშვალება ალორძინებისა და თავის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა. უნდა მიეცეს მათ აგრეთვე იმის საშვალება, რომ ღარიბ კლასზე ზრუნვაც შესძლონ. სინოდინო მხარს უჭერს უძრავ ქონებაზე ხუთ პროცენტიანი ნორმის დაწესებას. ამგვარათ მოქცევა არც სახელმწიფოებრივ სამართლიანობას ღალატობს და მოქალაქეთა ინტერესებსაც იცავსო. ორატორი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სერიოზულმა და ცენტრალურმა პარტიამ კადეტებთან მიწერ-მოწერა გამართა და მოითხოვს ოთხი პროცენტიანი ნორმის შემოღებას.

ფინანსის მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი აცხადებს: — ყოველნაირი სალალო კანონი პოპულიარობას მოკლებულია. გადასახადის წინასწარი გაწერისა და შემოსულ გადასახადთა განსხვავების მიზეზი ქალაქთა ზდაა. ორატორი ეხება ამ საგნის შესახებ სენატის გადაწყვეტილებებს. მოყავს ქალაქის ცხოვრებიდან ციფირები და ამ ციფირებით ამტკიცებს, რომ გადასახადი ქალაქის მცხოვრებთ მძიმე ტვირთად არ აწევს. გადასახადის შემცირება ფართო მასისათვის არ იქნება სასარგებლო. ეს შემცირება მეირფასი საჩუქარი იქნება ქალაქში მემამულეებისათვისო. ქიღინი მეორე აღნიშნავს, ეს გადასახადი მძიმე ტვირთად აწევს ქალაქებსაო. გამოსთქვამს ოთხ პროცენტიანი ნორმის სასარგებლო აზრს. გორდილევი წინააღმდეგია ხსენებული გადასახადის შემცირების, ვინაიდან აქ გადასახადის შემცირება გლეხთა გადასახადის გადიდებას იწვევსო. შინგარევი ამბობს: საყურადღებო საკითხია — საჭიროა თუ არა გადასახადი და ჩემის აზრით კი გადასახადი საჭირო არ არის. ეს პროექტი მაშინ შეიტანეს სათათფიროში, როდესაც ბიუჯეტი დეფიციტიანი იყო. ახლა დეფიციტი არ არის. ფინანსის მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი განმარტებას იძლევა და ამბობს, კანონპროექტი ეხება არა ახალის შემოღებას, არამედ ძველის დაცვასო. ვოსტანი აღნიშნავს მოქალაქეებზე უფრო მეტ გადასახადს გლეხები იხდიანო. ღებულობენ წინადადებას პროექტის მუხლობრივ განხილვის შესახებ. მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი ამბობს: — უძრავ ქონებაზე ხუთ პროცენტიანი ნორმა შედარებით ძველ კანონთან, რომელიც 1910 წლის კანონის წინათ არსებობდა, გადასახადს სულ მილიონ მანეთით გაადიდებს, ოთხი პროცენტიანი ნორმის შემოღება კი ძველ გადასახადზე უფრო ნაკლებ შემოსავალს მოიტანს. ნაციონალისტების შესწორებას ექვს პროცენტიანი ნორმის დაწესების შესახებ, სათათფირო, 126 ხმით წინააღმდეგ 103 ხმისა უარყოფს. მიიღეს ოთხპროცენტიანი ნორმა 124 ხმით წინააღმდეგ 118 ხმისა, შემდეგ დიდი ხმის უმეტესობით პოლონეთისათვის რვა პროცენტიან ღებულობენ ნორმას.

პოკროვსკი აღნიშნავს: — მიღებული შესწორებები გადასახადს ათი მილიონი მანეთით შეამცირებს. შინგარევი თხოულობს, რომ იმ გადასახდელის გადამხდელი, რომელიც მანეთზე ნაკლებს იხდის, სრულიად გათავისუფლებულ იქნას გადასახადის გადახდისაგან. ორატორი კარაულოვის შესწორების წინააღმდეგ მიდის. სათათფირო უარყოფს კარაულოვის შესწორებას და მარკოვის შესწორებას ღებულობს, ე. ი. ათავისუფლებს გადასახადისგან, იმ გადასახადის გადამხდელთ, რომლებიც სამ მანეთზე ნაკლებს იხდიან, შურიშკევიჩი აცხადებს, რომ კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ წავა. კანონპროექტი მიიღეს. ტრუდოვიკები და ესდეკები კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ წავიდენ. შემდეგი სხდომა პარასკევს.

## დღიური

გზათა უწყების სამინისტრომ, რკინის გზის მოსამსახურეები, რომელთაც დრაგომან პეტროვს სცემეს, სამართალში მისცა.

— პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მოწაფეებს „კლიუჩი სჩასტიას“ წარმოდგენაზე დასწრება აუკრძალა.

— 17 ნოემბერს პეტერბურგში კოროლენკოს სადღესასწაულო [illegible] მართეს მისი მოღვაწეობის 10 წლის შესრულების გამო.

— სათათფირომ ქალაქებში უძრავ ქონებაზე გადასახადების დაკლების შესახებ პროეკტი მიიღო.

— მენშიკოვის აზრით პრესასა და დეპუტატებს შორის კოკოვცოვის სახელი ძალიან დაეცა.

## ახალი ამბავი.

✦ 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების ბანკის სადგომში მოხდება პირველი კრება იმ საზოგადოებისა, რომლის მიზანიც კომერციული კრედის გავრცელებაა ქუთაისსა და მის გუბერნიაში. დამაარსებელნი ამ საზოგადოებისა ამ კრებაზე მოუწოდებენ ამ საქმის ყველა თანამგრძნობლებს.

✦ 4-დან 11 ნოემბრამდი ჭიათურიდან 2352 ვაგონი შავიქვა გაუზიდავთ, ე. ი. ერთი კვირის განმავლობაში 1,764,000 ფუთი ქვა.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭოს წინასწარი ანგარიშით მომავალი 1914 წ. შემოსავალი ნაჩვენებია 878,800 მანეთი, ხარჯიც ამდენივე.

✦ რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწე მახარაძე ოზურგეთის მაზრის უფროსის თანამდებობის ამასრულებლათ დაინიშნა.

✦ გუშინწინ ქალაქის საავათმყოფოში მიყვანისთანავე გადაიცვალა მემანქანე შენგელია, რომელიც სად. ნატანების მახლობლათ მატარებლის დაჯახების დროს დასახიჩრდა. ეს უბედურება ასე მომხდარა: პირველ მატარებელს კამბეჩი გაუსრესია, მაგრამ ვერ გაუტანია და შეჩერებულა, სანამ გზა გაიწმინდებოდა, უკნიდან მეორე ბარგის მატარებელი დასჯახებია. მემანქანე შენგელიას თავის თანაშემწე გადმოუსვრია ორთქლმავალიდან, ხოლო თვით ველარ მოუსწრია, გახეთქილი ქვაბიდან დუღარე წყალი თავს გადავლებია და ერთიანათ გაუფუფქავს. იგი ქუთაისის საავათმყოფოში გამოაგზავნეს, მაგრამ საავათმყოფოს კარებში შეტანა ვერ მოასწრეს, რომ საბრალომ სული განუტევაო.

✦ ხვალ ელექტრო-თეატრ „რადიუმში“ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ სეანსები გაიმართება. მოუწოდებთ საზოგადოებას თავის წვლილს ნუ დაიზარებენ ღარიბი ახალგაზდებისათვის.

✦ 19 ნოემბერს სამოსამართლო პალატის სესიამ ქუთაისში საქმეები დაასრულა და ბათომს გაემგზავრა საქმეების გასარჩევათ.

✦ შავი ზღვის ნაპირის რკინის გზა გაივლის ტუაპსიდან ქვალონამდი და ქვალონიდან ახალსენაკში ამიერ კავკ. რკინის გზას შეუერთდება. გზა სულ 322 ვერსი იქნება. გზას კერძო საზოგადოების ხარჯით გაიყვანებენ და მზათ იქნება დაახლოებით 1916 წლისთვის.

✦ ოლქის სასამართლომ გაამართლა ვ. დეისაძე, კ. პაქსაშვილი, არტ. ბედიაშვილი, ივ. პაქსაშვილი, რომელთაც ბრალდებოდათ ვახ. მაჭავარიანზე თავდასხმა.

ლარვენტი ტყემალაძეს ქურდობისთვის მიუსაჯა 4 თვის ციხე და ფხაკაძეს ერთი წლ. გამასწორებელი რაზმი.

✦ თავად აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე თფილისიდან გუშინ დაბრუნდა. თფილისში იგი წარუდგა მეფის მოადგილეს და ინახულა ახლათ დანიშნული საქართველოს ეგზარხოსი ალექსი.

✦ დღეს საკრებულოს დარბაზში ქუთ. ქალთა საზოგადოება საღამოს მართავს. მოწვეულია, სხვათაშორის, ცნობილი მომღერალი სარაჯიშვილი. ქალთა საზოგადოება სახსარს აგროვებს მომავალში სკოლის დაარსებისათვის. საზოგადოება მოვალეა გულმხურვალეთ შეხვდეს ქალთა საზოგადოების წადილს.

✦ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების კრებაზე ქუთაისის ქალაქის მოურავი ქუთაისის საქალაქო საავათმყოფოს შეეხო და სთქვა. — საავათმყოფოს ფასის შემცირება აუცილებელია, რათა უფრო მეტ ხალხს მიეცეს იქ დაწოლის საშვალება. საავათმყოფოს მაშინ მოელის ზარალი 35 ათასი მანეთი, რომელთაგან 5 ათას ქალაქის თვითმართველობა იკისრებს, ხოლო 30 ათასი მანეთი იმ საერობო თანხიდან მოგვეცეს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განაწილებული. იმედია, კრება მხარს დაუჭერს ქალაქის თვითმართველობის ამ შეამდგომლობას. საავათმყოფო დიდ სამსახურს უწევს განსაკუთრებით არა ქუთათურთ, რომელთა რიცხვიც 85 პროცენტს შეადგენსო.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ მორიგი ნოემბრის ნუმერი მცირეწლოვანთათვის.

✦ ამ მოკლე ხანში ჭიათურაში გაიმართება საინტერესო საღამო.

✦ იმერეთის სოფლებში: ხრეითში, მუხურასა და ტყემლუანაში დაარსდა წვრილი კრედიტის ამხანაგობანი.

✦ როგორც ხმები დადის, შორაპნის მაზრის ყოფილ უფროსს პოდპოლკოვნიკს ალხოვსკის, რომელიც ამჟამათ სენაკის მაზრის უფროსათ იყო გადაყვანილი, სამსახურისთვის თავი დაუნებებია.

✦ რედაქციამ მიიღო კომერციული კრედის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება. საზოგადოების დამაარსებლათ არიან: იოსებ კემულარია, პეტრე გოკიელი, იაკობ ალიბეგოვი, ნესტორ ბარაბაძე, ივანე პურადაშვილი, გრიგოლ გიგინეიშვილი, იოსებ ოცხელი, სიმონ ეზიკოვი და რაჟდენ დათეშიძე.

✦ თფილისში ოციდან დამლევ დეკემბრამდი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ გაიმართება მეფუტკრობის ნაწარმოებისა და საჭირო იარაღების ბაზარი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო გიორგი თუმანოვის წიგნი: „დახასიათებანი და მოგონებანი“. წიგნი შეიცავს 253 გვერდს და ღირს ათ შაურათ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველოში მოსამსახურე ინჟინერ ტეხნოლოგი ავსარქისოვი საგუბერნიო საამშენებლო განყოფილების ხუროთ მოძღვრის თანამდებობის ამასრულებლათ დაინიშნა.

## საქართველოს ეგზარხოსთან, მათ მაღალმეუფებასთან ალექსისთან.

17 ნოემბერს ღირსი გავხდი მათ მაღალმეუფებას საქართველოს ეგზარხოსს,

---

# შალიკაშვილ-წუწუნავას „გიტო“.

**სამახსოვროთ გლეხთა საკითხზე ცნობილ მწერალს, ალ. ყიფშიძეს.**

(საგანგებოთ გაზ. „ერი“-სათვის).

მხოლოდ ერთხელ მქონდა ბედნიერება თფილისის ქართული თეატრი მენახა, უკეთ რომ ვსთქვა — თფილისში ქართულ წარმოდგენას დავსწრებოდი. ვალერიან გუნიას ჩემს ცხოვრებაში მეორეთ ვხედავ სცენაზე, არაოდეს არ მენახა კოტე მესხი, აგრეთვე ქ. დავითაშვილის ასული... ეს იყო 1913 წლის 10 ოკტომბერს. ორი დღე თფილისში დავყავი. ვცდილობდი, რამდენათაც შემეძლო, ბევრი რამ მენახა, მსურდა მთელი თფილისის მორევში ჩამძრალვიყავი, მაგრამ მეტათ მცირე რამ მოვახერხე. წარმოდგენას კი მაინც დავესწარი. მიმიხვდებით, რომ ქართული თეატრის ყოველ უმნიშვნელოსაც მივაქცევდი ყურადღებას, ეს ხომ ყოველი ახალის და მგზავრის სტიქიაა, და მიუხედავათ იმისა, რომ ბედმა საშინელი სვეტის უკან მომამწყვდია, იმდენი თავხედობა გამოვიჩინე, რომ მახლობელს თავისუფალ სავარძელს მივაშურე. საბედნიეროთ, არც შევცდი. ყველაფერს უფრო კარგათ ვხედავდი, თან მეზობლათ ქართველი ბელეტრისტი და დრამატურგი აღმოაჩნდა, და რაღა თქმა უნდა, მეტის სიამოვნებითა და ყურადღებით მოვისმენდით პიესას.

მიუხედავათ იმისა, მეტათ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როგორც ნახულის გარეგნულმა მხარემ, ისე საგნის თვით არსებამ, შინაარსმა. გაზეთ-ჟურნალებით მე წარმოდგენილი მქონდა ნაკლი შენობისა, ათასი მხრით დაფასებულ-გადაფასებული ყოფილა აგრეთვე ჩვენი მსახიობიც, მაგრამ მე მაინც მეტი იმედი მქონდა, მეტს მოველოდი. მეტათ ღარიბი ხალხი ყოფილვართ, მეტათ დაბალი კულტურის ამარა. სტატისტიკა რაც უნდა იყოს მშრალი ცნობაა, იგი ხშირათ მოვლენაზე და ადამიანზე გონიერათ მსჯელობს, მაგრამ ეგ ცოცხალი სინამდვილე, მაინც სინამდვილეა, იგი მაინც მკაცრი ამოჩნდა და გული დამისერა.

ბუნებრივათ, ცხოვრების მიმდინარეობაში გონების გამშლელსა და გრძნობათა გამახალისებელ ტენდენციებს უფრო ვეთვისები, ეგ წყეული პესიმიზმი ბევრ მოღვაწეთა სულის დამცემი და არსების მღრღნელი ვერ მომრევია, ამიტომ ყოველი სასოწარმკვეთი მოვლენა ქრება ჩემის არსებიდან, მაგრამ, დახეთ, კვლავ განცდას სინამდვილისას! შალიკაშვილის „უნიადაგო“-თი გამოწვეული მწუხარება როდი აღიგავენ ჩემი არსებიდან, პირიქით, ღრმა კვალი გაავლო და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამით უნდა ავხსნა, რომ თვით პიესის წარმოების დროს მყუდროებას ვურღვევდი ჩემს ნაცნობს და ახლათ გაცნობილს ქართველ მწერლებს და ვაფასებდი „უნიადაგო“-ს ყოველ ეტაპს.

ცოტა რამ თვით თეატრშიც ვსთქვი პიესაზე, მაგრამ გული ჩემი როდი-ღა დაიწურა განცდილისაგან, არა, ერთიანათ შებოჰყილვიყავი სხვადასხვა აზრით, როცა ეტლს მივაშურე და გამოვსწიე ჩემს სადგომ-სასტუმროსაკენ. დაღლილი გახლდით და ძილიც მომერია. დილა ადრიან კი ჩვენი მეფუტკრე აპოლონ წულაძე მესტუმრა და ის იყო, აქ კვლავ ვიხელთე დრო და შევუდექი ჩემის გრძნობებისა და ტკივილების დაწყნარებას უეჭველია, რასაც ახლა ვსწერ, დავსწერდი თავის დროზეც, მაგრამ ეგ ოხერი დრო... მხოლოდ ნახევარი საათი ვადა მქონდა, მეგობარ აპოლონსაც ველარ მივეცი უკანასკნელი სალამი, რომ ჩქარა მატარებელმა დასავლეთ საქართველოსაკენ გამაქანა. ფრიად დაღონებული ვიყავი ხაშურამდი, მაგრამ რაც დამღონა გზამ, იგი უეჭველათ წინააღმდეგზე შემიცვალა ლიხის მთიდან მოკიდებულმა იმერეთმა. ჰო, ხაშურში მწერალს ბ. პ. გელეიშვილს წავაწყდი და აი, აქ უკვე დროცა და სურვილიც ორივეს გვქონდა, ბაასი გაგვემართა. საბაასო ხომ აუცილებელი რამ იყო! ჩვენც დიდი გაფთრებითა და სიხალისით ვიბაასეთ, ვიკამათეთ, ვიბრძოლეთ, მაგრამ მთელ ამ გაწიწმატებულ დისკუსიის დროს, მე მაინც ვერ დავივიწყე, ვერც „უნიადაგო“ და ვერც — აწ ჩემთვის მთელს სიცოცხლეში გულის სიღრმიდან ამოუშლელი — შალიკაშვილ-წუწუნავას „გიტო“. ამას გარდა კვლავ ამ საგანზე იმ მოკლე დროში საუბარი ხარკოვის გზაზე მომიხდა ილია ჭავჭავაძის ზოგიერთ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა რუსულათ გადამთარგმნელ, უნივერსიტეტში ახლათ კურს დასრულებულ ჯაფარიძესთან. ოც ოკტომბერს დილით, ნისლით დაბურულ პეტერბურგში ამოვყავი თავი.

ეს ოხერი პეტერბურგი, რა კარგია, რომ იცოდეთ! ლამაზი, მძაფრი, ცოცხალი... აქ თვით ქვანი ღაღადობენ, თვით საგნები იცინის, მაგრამ ჩვენ რა მერე? ცხოველმყოფელი მზის შვილნი აქა ვსჭკნებით სულით, გულით, აქ ვიწყებთ და აჭავე ვსპობთ ჩვენს ნამდვილს კულტურულ ცხოვრებას. მეც ხომ კულტურა მაინტერესებდა აქ, ვით ფუტკარი, განზრახვა მქონდა დავეწაფებოდი აქაური კულტურის ტკბილ წვენს, რომ არსება ჩემი კვლავ შეუბღალველი გადამეტანა ჩვენს სამშობლოში, რომ იქ ჩემს ბუკში თაფლი ჩემი დამეგროვა.

ამიტომ, პირველათ, იელინეკის კლასიკური თხზულება მეჭირა ხელში. „თანამედროვე სახელმწიფოთა უფლებიდან“ უხვათ გადმომქონდა ჩემს დღიურში ამ შესანიშნავი იურისტის შესანიშნავი აზრები, რომ დახეთ ბედისწერასა, აქაც კვლავ „გიტო“ ამეტუზა თვალწინ, კვლავ „უნიადაგო“ და შალიკაშვილ-წუწუნავა. აქ კი მოთმინება დამეკარგა, ან რაღა დროს ამაებზე უნდა მეფიქრა, ათასი სქემა, ათასი პლანი...

შეხეთ რა შთაბეჭდილება მოუხდენიაო — უსათუოთ იფიქრებს ჩემი მკითხველი — შალიკაშვილის „უნიადაგო“ს და მის ერთ ელემენტს — „გიტო“-ს, მაგრამ შეცდები, მკითხველო. აკი მოგახსენეთ ზემოთ, „უნიადაგო“-მ დამიმტკიცა სიღატაკე ჩვენის გონებითი კულტურისა და სიუძლურე ჩვენი ეკონომიკისა თეატრმა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ არ ეხება „უნიადაგოს“.

და აბა, როგორ მოვინელო ასეთი ფუქსავატობა, რა თქმა უნდა გონებითი, კურსისტკა ქალის — რუსიასი (იგი პეტერბურგში ნამყოფია), ასეთივე გონებითი სიღატაკე სტუდენტების პავლესი, ალექსანდრეს შვილის და აქიმისა. ალექსანდრე საშინლათ ანადგურებს და სპობს დედაკაცთა უფლების აზრს, იგი საშინელ რეაქციონურ აზრთა განხორციელებაა და დახეთ, სწორეთ ეს აზრი უნდა დარღვეულიყო სცენაზე, ყოველ შემთხვევაში სცენის ინტელიგენციას ალექსანდრეს გადამლაშებული ლაპარაკისთვის პასუხიც უნდა გაეცა, მაგრამ ვერც დარო — ეს პირდაპირ დაინტერესებული პირი, ვერც სტუდენტები, თუ აქიმი ვერაფერს ამბობენ. იგინი უბრალო მანეკენები იყვენ და ამ შემთხვევაში, უგონონი, უაზრონი, ფუქსავატნი. პიესას აზრიც უნდა ქონდეს. იგი უპირველეს ყოვლისა საზოგადოების მოწინავე აზრების გამავითარებელ-გამაღრმავებელი უნდა იყოს, ხოლო შალიკაშვილი კი სტოვებს ხალხის გონებაში ახალი ფხიზელი აზრების ნაცვლათ უკვე გაცვეთილსა და ჩვენს საზოგადოებაში არსებულს მეშჩანურ შეხედულებებს. ჭეშმარიტათ, ნამდვილი სიყვარული „უნიადაგოა“ რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ იგი ხომ თეორიაში არსებულია, მას ხომ ადეპტები ყავს ჩვენს ხალხში, იგი ხომ აუცილებლათ დაგვირგვინდება მომავალში. და ჩვენ კი სცენაზე ვხედავთ მომავლის ხალხს, მაგრამ მომავლის აზრებს კი ვერა. დახეთ ბედისწერასა — დაროს არასათაკილო საქციელს ყველა ელემენტი სცენისა, უკეთ, საზოგადოებისა საშინლათ სჯის და თითის ჩვენებით სამარცხვინოთ გამოყავთ იგი. ნუთუ აქ სიმართლეს ვერც მოხუცი მისწვდა, ვერც ახალგაზდა, ვერც ნასწავლი და ვერც უსწავლელი? და შალიკაშვილი ასე მოურიდებლათ სჯის ახალ აზრს, ახალ მიმართულებასა და მის აპოლოგეტს — დაროს.

„უნიადაგოა“ თვით ცოლქმრობა იძულებით დამკვიდრებული. მაგრამ ამ ოჯახის გახრწნა სწორეთ ისე უნდა ხდებოდეს, როგორც შესაძლოა, ბუნებრივის აუცილებლობით, შეგნებულათ და არა ისე მჩატეთ ერთი ხელის დაკვრით... ამნაირათ, შალიკაშვილმა „უნიადაგოთი“ დაამტკიცა ჯერ კიდევ გონებითი მოუმწიფებლობა, განუვითარებლობა. ვუსურვებ ამ ხელოვან არტისტს ეს დანაკლისი სათანადოთ შეევსოს...

მაგრამ „გიტო“? ეს ხომ კლასიკური ტიპია ჩვენი ცხოვრებისა? ვისაც იოტის ოდნათ წარმოდგენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, იმისთვის მუდამ დაუვიწყარი და მუდამ შესანიშნავი იქნება „გიტო“. მე არ წამიკითხავს პიესა, არ ვიცი, წაკით-

არქიეპისკოპოს ალექსის მიველ. წამოსვლასას, მათ მაღალმეუფებას ნებართვა გამოვსთხოვე წერილობით გამეცნო ქუთაისის თავად-აზნაურობისა და ყველა მცხოვრებისთვის ის კურთხევა, რომელიც მათმა მაღალმეუფებამ კეთილინება შემდეგი სიტყვებით გამოეთქვა: „გადაეცით, თავადო, ქუთაისის გუბერნიის აზნაურთ და ყველა წოდებას გულითადი კურთხევა, როგორც იმ მწყემსთმთავრისა, რომელიც მარადის ყოვლად შემძლებელისადმი თვალაპყრობილი ენუკვის მას კურთხევა ღვთისას მშვიდობა და სათნოება მფევლინოს ჩემს სამწყსოს.“

უდიდესი სიხარულით ვაცხადებ რა მთელი საზოგადოების საყურადღებოთ მათი მაღალმეუფების სიტყვებს, ვალათ ვრაცხ ჩემ თავს მიულოცო ქართველ ერს ახალი სამწყსოს მთავარი, რომელსაც სურს ჩვენ შორის „მშვიდობა და სათნოება“ შემოიტანოს. არ შემიძლია ამას ისიც არ დაურთო, რომ მათმა მაღალმეუფებამ ჩემთან კერძო საუბრის დროს კეთილ ინება ეთქვა, რომ იგი ნებას არავის მისცემს ქართულ ეკლესიებიდან ქართული ენა განდევნოს. „იესო ქრისტე, როდესაც მოციქულთ საქადაგებლათ აგზავნიდა მათ არ ეუბნებოდა, რომ ხალხისთვის გაუგებარ ენაზე ილაპარაკეთო“... ქართულ ენას კი არ უნდა ვსდევნიდეთ ქართული ეკლესიიდან, პირიქით ჩვენ უნდა შევისწავლოთ იგი. და თავისი აზრის დასამტკიცებლათ მწყემსმთავარმა დამაჯილდოვა ლოცვის სიტყვებით წმინდა ქართულენაზე: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

თ-დი დ. თ. ნიჟარაძე.
(ზაკ. რ.)

## აქ-იქაური.

ბევრმა სიხარული გამოსთქვა და ბევრის სახეზე გაკვირების ნიშანი ამოვიკითხე, ვინც კი წაიკითხა დავით ნიჟარაძის მოკლე წერილი. ასე გაუხარდება და გაუკვირდებათ ეს ამბავი, ვინც აწიც წაიკითხავს, თუ გაიგონებს მას.

ხოლო, თუ ჩავუკვირდებით, აქ არც სასიხარულოა რამ, არც გასაკვირი.

ეს მოვლენა უფრო საცრემლოა, ვიდრე სასიხარულო და გასაკვირი ისაა მხოლოდ, რო გვიკვირს.

ოცი საუკუნე ერი ცხოვრობს, მეტყველობს თავის ენაზე, შეუნახავს სიცოცხლე, ენა, ქვეყანა და დღეს, ამ მეოცე საუკუნეში, ის გვიხარია და გვიკვირს, რო მწყემსთმთავარი გვეუბნება: თქვენი ენა უნდა ვიცოდეთო....

დიახ, თუ ჩავუკვირდებით, აქ არც სასიხარულო და გასაკვირიც არაფერია... პირიქით!....

დ.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ყირიმიდან მონგოლეთის დელეგაცია ჩამოვიდა,

**ურალსკი.** შავიჭირით ავათ გახდა ათი კაცი, აქიდან ხუთი მოკვდა.

**პეტერბურგი.** მესამე სათათბიროს წევრი საზონოვი გადაიცვალა.

ვაჭრობამრეწველობის სამინისტრომ საზღვარგარეთიდან შემოსატან პურზე გადასახადის შესახებ კანონპროექტი შეიმუშავა და განსახილველათ მინისტრთა საბჭოს გადასცა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**სტამბოლი.** სამსუნიდან ცნობაა—რკინისგზის გაყვანისათვის საჭირო მასალები მოიტანესო.

**ბელგრადი.** სერბიისა და ბულგარეთის დელეგატთა შერეულმა კომისიამ გადასწყვიტეს მდინარე დუნაიზე ხიდი გააკეთონ.

**პარიზი,** დეპუტატთა პალატაში, 374 ხმით წინააღმდეგ, 206, ხმისა უარყვეს ბრუსის წინადადება 1500 მილიონი ფრანკის სესხათ აღების შესახებ. დეპუტატთა პალატამ 1300 მილიონის სესხათ აღება შეიწყნარა.

**ბუდაპეშტი.** უკრორუსოვის საქმის გარჩევა 16 დეკემბერს დაიწყება.

**ვენა.** „ვინერ აბენდ პოსტში“ ფრანც იოსების მეფობიდან 65 წლის შესრულების გამო წერილია დაბეჭდილი. წერილის ავტორი ამბობს:—მეფის დაუღალავმა შრომამ გააძლიერა სახელმწიფოს სამხედრო ძალა. მეფეს უნდოდა სამხედრო ძალა იარაღათ გაეხადა მშვიდობიანი პოლიტიკისათვისო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში სესხის შესახებ მსჯელობის დროს ფინანსის მინისტრმა დიმონმა განაცხადა:—900 მილიონი ფრანკი, რომელიც 1913—14 წლების ბიუჯეტშია აღნიშნული, ჯარის აუცილებელ მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებს. სამხედრო პროგრამის განხორციელება, რომელიც მიიღო სამხედრო სამინისტრომ, არ თხოულობს სესხის აღებას. საკმაოა მხოლოდ კრედიტის 40 ან 50 მილიონი ფრანკით გადიდება. საფრანგეთს არ აქვს განზრახვა ახალი სისტემის თოფი გამოიგონოს. ის არ იწვევს აგრეთვე სხვა სახელმწიფოებს, რომ გადასახადი გაადიდონ. დეპუტატი ბრუსი ამბობს:—მაროკოს საქმეზე ხარჯი სამხედრო საჭიროებაზე ხარჯს წარმოადგენს. ეს ხარჯი უნდა დაიფაროს სესხის აღებით. ორატორი წინადადებას იძლევა სესხი გაადიდონ $1^{1}/_{2}$ მილიარდ ფრანკამდი. ფინანსის მინისტრი დიუმონი ამ წინადადებას ღებულობს.

**ვენა.** „ნეიეფრეიე პრესა“ სწერს;—სერბიამ, ბულგარეთმა და მთაშავეთმა 1912 წელს ერთმანეთს შორის ოსმალეთის, რუმინიისა და ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ ხელშეკრულობა დასდვეს. ამ ხელშეკრულობას ხელი მოაწერა რუსეთმაც, და მიიღო თვის თავზე ვალდებულობა, რომ ყოველი ცნობა რუსეთის გენერალური შტაბისაგან მიღებული მოკავშირეთა სახელმწიფოებისთვის ეცნობებია. რუსეთი უნდა დახმარებოდა აგრეთვე ფულითა და სამხედრო მასალის მოწოდებაში. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო გაეცნო ამ საქმეს და რუსეთის შესახებ ხსენებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

**ტეტუან.** ოფიციალური ცნობით ესპანელებსა და მკვიდრთა შორის დიდი შეტაკება მოხდა. ესპანელებს სამი სერჟანტი და თორმეტი სხვაც მოუკლეს, დაუჭრეს 15. მაროკოელების ზარალი უფრო დიდია.

**ბელგრადი.** ვენიდან მოფრინდა ავიატორი ვედრინი.

**ვენა.** ესპანიის მეფე პარიზს წავიდა.

**კრაკოვი.** სტამბის მუშებმა ლეიპციგის გამოფენაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის საზღვაო კომისიამ მიიღო საზღვაო უწყების ბიუჯეტი. პრეზიდენტმა ტისამ ამ საგანზე კამათის დროს განაცხადა;—საზღვაო საქმეთა პროგრამის განხორციელება უცხოეთში მომხდარი ამბების გამო ერთის წლით დაიჩქარესო.

**ბერლინი.** რეიხსტაგში ბიუჯეტის პირველი კითხვის დროს ფინანსის მინისტრმა კიუნმა სახელმწიფოს ფინანსების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა.

**ბრიუსელი.** სოციალისტთა ბელადი ვანდერველდი აირჩიეს ბელგიის სამეფო აკადემიის წევრათ.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის საზღვაო კომისიის სხდომაზე საზღვაო საქმეთა უფროსმა ფლოტის გასაძლიერებელი ხარჯის დაფარვა მოითხოვა.

## გ უ შ ი ნ
(სულის ძახილი).

დედამიწამ რომ მზისკენ პირი იბრუნა, სწორეთ მაშინ ავკოკრდი.

ამ დროს იქ, სიღრმეში, მდუმარე სიღრმეში არაჩვეულებრივი გუგუნი გაისმა,—გულჩათხრობილი, ყრუთ მგმინავი, მრავლის მეტყველი...

დედამიწის წიაღი, იდუმალ ფიქრთა და ზრახვათა მპყრობელი, რომ შეტორტმანდა, გავარვალდა, ქვა და ლითონი ერთმანეთს შეედუღა და უძრავი იძრა,—სწორეთ მაშინ, მზის პირველი სხივების ტყორცნისათანავე, ჩემი სამშობლოს ერთ-ერთი მთის ნაპრალზე გავიფურჩქნე.

დიდებულია მთა იგი და საუნჯე მისი ულეველი!—აქ თურმე „თამარ წყნარს, შესაწყნარს, ხმა-ნარნარს, პირმცინარს“ მთელი ჩემი სამშობლოს სული და გული და ფასუთქმელი განძი შემოუხიზნავს და უანდერძებია: „უკეთუ ბარი წაილეკოს უცხო ტომთა მოსვლისაგან, წარსულის ნერგი აქ არის და ახალი რამ მასზე დაამყენითო“.

იმ სულმნათს ახლაც თურმე ვახსოვართ, არ დავვიწყებივართ და კვლავ ზრუნავს ჩვენთვის დედობრივის სიყვარულით!

ვდგავარ ნაპრალზე... და ჩემ ფერხთა ქვეშ მედიდურათ მოგუგუნობს რიონი, ამაყათ გაურღვევია სალი კლდეები, ეხლება, ასკდება, მიქრის, მიშხუის და ბარათ მიაქვს მთის გიხაროდენი.

იქ კი, აბობოქრებულ ზღვის ტალღებში, ალამ გაშლილი გემი უშიშრათ აპობს ზვირთთა გორებს, მის ანძაზე, ვით ნოეს კიდობანზე, შემომჯდარა თვალჟუჟუნა ტრედი და თან მოაქვს ზეთის ხილის შტო ნიშნათ... მშვიდობისა და კაცთა შორის სიყვარულისა.

ვიდექ მთასა მაღალსა და მესმოდა ფიჭვთა და ნაძვთა საიდუმლო ჩურჩული; საალერსოთ მიწვევდა მთვარის ქათიქათი, ვარსკვლავთა კიაფი; მზის პირველი სხივები მთის თხემის შეხებისათანავე ფიანდაზათ მეფინებოდა... და განთიადისას, როდესაც მხოლოდ აგზნებული ბულბულის რაკრაკი და მდინარის გიჟმაჟი შხუილი გაისმოდა ჩემს გარშემო, შორით შორს ჩამომწვდებოდა სანატრელი ციური ხმები: „აღსდეგით! განიფრთხეთ ძილისაგანო!“ ეს თურმე დავით აღმაშენებლის ზარები იყო, ცისკრისას რომ რეკენ...

სული გულს ეტრფოდა, ორივე ერთად—ადამიანს, გაზეკაცებულს, ყველას თანაბარსა და თანასწორს...

### ახ ქი:

ვინ წამართვა ციმციმობა სულისა?
ვინ ჩამიჭკნო სხივ-მოსილი ყვავილი?
ვინ მასმინა ყვავ-ყორნების ჩხავილი?
და წარმიღო ლხენა გაზაფხულისა?!.

მთასა მაღალს ასვლა კვლავაც მწყურია...
ჩემი ლოცვა სხვა ლოცვაა არ თუ ის...
განთიადის ჩემებრ მჭვრეტი არ სტყუის,
როს ეგ სწრაფვა გულით მონაწურია!..

რას ვეკრძალვი, ნეტავ, ჟამთა სიავეს?
ანუ ზევსს მრისხანეს და სვე მორჭმულს?
მისი რისხვით არ ვეძლევი სინანულს,
რაკი ტრფობა ასე გამინიავეს!...

კაცთავ შორის ამომიჩნდა გველი მე!..
შვილთა შვილებს ვუანდერძებ მე სიას...
ხოლო იმათ შესამესრათ მესიას,
იეგოვას ალთქმისაებ ველი მე!..

და მანამ კი, ვიდრე უნდა ვიარო,
მთასა მაღალს კვლავ ვეწვევი ოცნებით...
და რასაც ის მიკარნახებს, კვლავ გზნებით
ტანჯულ მოძმეს უნდა გავუზიარო!...

დ. თომაშვილი.

## დაბა-სოფლები.

**სოფ. სეფიეთი** (ოდიში). აქ სხვადასხვა წოდებისაგან შემდგარი 280-მდი კომლია. არსებობს მხოლოდ ერთკლასიანი შკოლა. საზოგადოებას დიდიხანია სურს მისი ორკლასიანათ გადაკეთება, მაგრამ სიღარიბე ხელს უშლიდა. ვინაიდან სწავლის წყურვილი თანდათან იზდებოდა, რომ წელს ბავშები შკოლის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, საზოგადოებამ მოიწვია მეორე მასწავლებელი და შესაფერი შენობაც დაიქირავა შკოლისთვის. დღეს როგორც შენობის ქირა, ისე მასწავლებლის ჯამაგირი სოფელს სხვადასხვა გადასახადთან ერთად მოემატა და მძიმე ტვირთად დააწვა თავს. შკოლის ზედამხედველმა კომიტეტმა, რომ შკოლა და მასწავლებელი უზრუნველყოს, მოწოდებით მიმართა ამ სოფლის მკვიდრთა შვილებს, რომელნიც დღეს სხვადასხვა დაწესებულებაში მსახურობენ სოფლის გარეთ—დახმარება აღმოუჩინონ ნივთიერათ სოფლის შკოლას. ამ მოწოდებას შემდეგ შკოლის ზედამხედველმა კომიტეტმა შემდეგი შემოწირულობა მიიღო:

1) აწ უკვე გადაცვალებული როტმისტრის იოსებ. თოფურიძისაგან 20 მანეთი; 2) სვიმონ ივ. მელიასაგან—3 მ.; 3) ბათლომე თოფურიძისაგან—1 მან.; 4) ივანე პლ. თოფურიძისაგან—1 მ.

იმედია, ყველა გულშემატკივარი ჩვენი სოფლის შვილი არ დაიშურებს თავის წვლილს ზემოხსენებული სეფიეთის შკოლის სასარგებლოთ და მით ხელს შეუწყობს ამ კეთილ საქმეს.

ხახუ-თოფურიძე.

—

**დ. ლანჩხუთი** (გურია). ლანჩხუთის „სასოფლო ბანკის“ გამგეობას, რევიზია გაუკეთა ბათომის სახელმწიფო ბანკის წვრილი კრედიტის ინსპექტორმა, ბ. ვ. ღლონტმა. ინსპექტორმა განიხილა მთელი ექვსი წლის გასავალ-შემოსავალი და ნახა, რომ ათასი მანეთის ანგარიში არსად ჩანს. ბ. ინსპექტორმა 15 ამ თვეს მოიწვია ბანკის წევრები და საქმის ვითარება გააცნო; იქონიეს მსჯელობა იმაზე, თუ ვინ გაფლანგა ზემოაღნიშნული თანხა, გამგეობამ მიითვისა იგი, თუ ანგარიშში ციფრებია შეშლილი.

მაგრამ ვერა გააწყეს რა და სამი კაცისაგან აირჩიეს დამატებითი კომისია, რომელსაც მიენდო, იზრუნოს ამ თანხის ამოსაჩენათ.

ეს კომისია ამ დღეებში შეუდგება საქმის განხილვას.

ყოველ პარასკეობით, აქ კაი დიდი ბაზარი იმართება. ლანჩხუთს ბევრი სოფელი აკრავს და ბევრგან შემოაქვთ გასაყიდათ შინაური ნაწარმოები. გურულებს ეს „პარასკეობა“ თითქმის დღესასწაულათ მიაჩნიათ. მაგრამ აუტანელია მათი მდგომარეობა ჩარჩებისაგან. შემოვლენ თუ არა ბაზრათ, მაშინვე ეცემიან ჩარჩები, ყველაფერს თვით ჩაიყრიან ხელში და ეზიდებიან სხვადასხვა ქალაქში. მკვიდრი მცხოვრებლებისთვის-კი ეს საზარალოა. საჭიროა, აირჩეს ბაზრის ზედამხედველი, აეკრძალოს ამ ჩარჩებს ბაზარზე შუადღემდი ვაჭრობა.

კოჯი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ უკანასკნელათ [illegible] ხი გავსცე იმ [illegible] ხალხს, რომელსაც თვის მიზნათ [illegible] დაუსახავთ და ნამდვილათ კი ყოველი ფეხის გადადგმაზე ღალატობენ მას. წავიკითხე თქვენი გაზეთის მე-7-ე ნუმერში გ. ახ-ანის წერილი და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ქონდა. წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, თუ ბ. ახ-ანი იკადრებდა სიმართლის ასე ღალატს. იგი სწერს: „ხსენებულ ქაღალდში პირადათ მე ორ ადგილს ხაზი გავუსვი და ვსთხოვე ამოეშალათ.“ ეს სიტყვები ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. ბ. ახ-ანმა მიმითითა მხოლოდ ქაღალდის ბოლოს სიტყვებზე, რომელიც ბ. როკითელს შეეხებოდა და ისინი იქვე ამოვშალე. ეს დამტკიცდება თვით თქვენს რედაქციაში წარდგენილი ქაღალდისაგან. დანარჩენის შესახებ კი ბ. ახ-ანმა მითხრა: „მეტი ცხარე კილოთიც რომ დაწერილი იყოს, მე ხელს მოვაწერდი და ჩემი სინიდისის წინაშეც სრულიად პირნათლათ ვიქნებოდიო“. და დღეს კი სულ სხვა ჰანგებზე მღერის. მე აღვნიშნე ის, რაც ჩემ მიერ წარდგენილსა და ბ. ახ-ანის მიერ მოწერილ ქაღალდშია აღნიშნული. და ვსთხოვ პატივცემულ რედაქციას ეს ქაღალდი სავსებით დამისტამბოს. ბ. ახ-იანს რათ დავიწყებია ის გარემოება, რომ რედაქციაში წარდგენილი ქაღალდის ავტორი სასამართლოს მდივანი კ. ცაგარელია და არა მე და იგი კი ოქმებს ეყრდნობოდა. გარდა ამისა ჩემს წერილში არსად არ მითქვამს,—სასამართლომ რეზოლუცია გამოიტანა მეთქი. მე გამოვაქვეყნე ის აზრი, რომელზეც ბ. გ. ახ-იანს ხელი უწერია. ამასთანავე მე საქმე კარგა ხანია დაბოლოებულაც მიმაჩნდა და მიმაჩნია, რადგან ჩემში ერთი წუთითაც არ ჩამქრალა ცხოველი რწმენა ჩემის ნათელის სიმართლისა. და ვინ გთხოვათ ჩემი აპეკუნობა, ბ-ნო ახ-იანო, როდესაც ბძანებთ, „რომ საქმეს დაბოლოება ეჭირება, ეს თვით წერეთელმაც კარგათ იცისო. ნამდვილათ კი წერეთელმა კარგა ხანია კარგათ იცის, ვინც ბძანდება ცქიტიშვილი და ძმანი მისნი და არც ყურადღებას მივაქცევდი მის ულაზათოდ შეთითხნილ ჭორს, რომ ზოგიერთი უმგვანო პიროვნება ზურგს არ უმაგრებდეს მათ და ხელს არ უწყობდეს მათს უხამსს მოქმედებას. რაც შეეხება ვლ. სულაქველიძეს, თქვენი აზრი არავისთვის სავალდებულო არაა, ბ. ახ-იანო! დასასრულ, ნება მიბოძეთ შემდეგი მოგახსენოთ: მე თქვენს „ავტორიტეტულ“ გამქომაგებას არ ვსაჭიროებ, და თუ მაინც ვისარგებლე თქვენ მიერ ხელმოწერილი ქაღალდით, მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველი საზოგადოებისათვის გადამეცა საქმის მშრალი მიმდინარეობა.

პატივცემულ რედაქციას კიდევ ვსთხოვ, გამოაქვეყნოს ჩემ მიერ წარდგენილი ქაღალდი და დე მკითხველმა საზოგადოებამ დასდვას თვისი მსჯავრი ვინ არის ჩვენში მართალი.

ალ. წერეთელი.

ხარკოვი.

—

**ქვემოთ მოგვყავს ის „ქაღალდი“, რომლის დასტამბვასაც გთხოვს ბ. ალ. წერეთელი.**

—

სინიდისის წინაშე ვალდებულათ ვსთვლით ჩვენს თავს გამოვსთქვათ შემდეგი მოსაზრებანი: 1912 წლის ნოემბრის დასაწყისში ალ. წერეთლის გამოწვევით შესდგა სამედიატორო სასამართლო მისსა და სტუდ. გრ. ცქიტიშვილის შორის, რომელიც წერეთლის შესახებ ხმებს ავრცელებდა, ვითომც მას მოწაფეობის დროს ჯაშუშობა ჩაედინოს. წერეთლის მხრით მედიატორებათ იყვნენ ნაფ. ვექ. თანაშ. სერგო ბარამიძე და სტუდ. კონ. ცაგარელი, ხოლო ცქიტიშვილის მხრით სტუდენტები: გიორგი ახვლედიანი და ვლ. სულაქველიძე. თავჯდომარეთ მოსამართლეებმა აირჩიეს თ-დი ლევან თუმანიშვილი. საქმის გარჩევის დასაწყისში ბ. ცქიტიშვილმა განაცხადა: „შესაძლებელია, დღეს წერეთელი პატიოსანი და პატივსაცემი პირი იყოს, მაგრამ მე მის წარსულს ვეხებიო“. და ჩვენც ველოდით, რომ წერეთლის წარსულის დასახასიათებლათ ბ. ცქიტიშვილი, მართლაც, ყურადსაღებ საბუთებს წარმოგვიდგენდა, მაგრამ, აი, რა მოხდა: თვისი ბრალდება ბ. ცქიტიშვილმა 4 მუხლათ გაყო:

1 რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წინააღმდეგი იყო ინსპექტორი ლ—სა და მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ხმარებასაც კი აპირებდა საჭიროთ. ყოველივე ეს წერეთელმა

---

ხული რა გავლენას მოახდენს იგი მკითხველზე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, „გიტო“ მხოლოდ შალიკაშვილ-წუწუნავას შეერთება, იგი ორივესი შრომისა და უნარის ნაყოფია. ქართველ ერს არაოდეს არ დაავიწყდება ჭავჭავაძის თათქარიძე, იმას არ დაავიწყდება ნინოშვილის მკლავაძე, თვით დაკნინებული სამანაშვილი კლდიაშვილისა, მაგრამ „გიტო“—ეს ნამდვილი დასკვნაა, იგი დაბოლოებაა უკვე ანუსხულ გმირთა თანდათანი დაცემისა. თათქარიძე ხორცმეტია, იგი არამზადაა, მაგრამ იგი ბუმბერაზი მაინცაა, იმას საზოგადო სიმდიდრის გაოხრებაც შეუძლია. მკლავაძე ხომ უფრო ჩამოქნილია, უფრო დაწვრილებული, მაგრამ იგი ილაჯიანია, მის მხარ-ბეჭსა და ეშხიან თვალებს კვლავ ამშვენებს ხმალ-ხანჯალი. კლდიაშვილის გმირები—ეს დაკოლინებული აზნაურები, მშივრები, ჭუჭყიან თეთრეულებში, ლობიოს ამარა ხალხი... მაგრამ ამათ გაიძვერაობის უნარი მაინც შესწევთ, იგინი ასე თუ ისე ეშმაკობენ, მაჭანკლობენ, ფუსფუსობენ. მაგრამ „გიტო“?—ეს ცოცხალ-მკვდარი არსებაა, იგი ყრუ-ყეჩია, ან როგორც რუსები ამბობენ, „იდიოტი“, იგი ჩამომდნარია არა მარტო ხორცით, იგი ჩამქრალია სულითაც. მას საზოგადოებაში ყოფნის უნარიც არ აქვს, მას საჯარო ლაპარაკიც არ შეუძლია. სიცოცხლის ნიშანწყალი გაქრობია მის არსებას, ადამიანის სახეც აღარ შერჩენია, „დოხტურს“ „კანდუქტორიდან“ ვერ არჩევს, ცხრამეტი მანეთიანი ჯამაგირი სიხარულით უვსებს გულს. იგი სასაცილოა და მას დასცინის თვით სცენის ხალხი, იგი სასაცილოა და დასცინის მას მთელი თეატრი. „გიტო“ განხორციელებული არარაობაა, უმოქმედობაა, უაზრობაა, იგი აბსოლუტური ხორციელ-სულიერი სიღატაკეა. ვაი, იმ ხალხს, ვინც ასეთ ტიპებზე დაეყრდნობა, ვაი იმას, ვინც „გიტოებს“ ლმობიერათ მოეპყრობა. „გიტოები“ მუწუკია ჩვენი ერისა, იგი სამარცხვინო ლაქაა ჩვენი კულტურისა და იგი უნდა მოისპოს, და იგი უნდა განადგურებულ იქნას. ეს ცხოვრებაა, ეს ჩვენი გაჯანსაღების საქმეა.

გიტო აფიცრის ჩინით არის დაჯილდოებული, მის ჩაღრმავებულ მკერდს სანაქებო ნიშანიც აშვენებს. მერე რისთვის? ვის დაუჯილდოებია იგი აგრე? რა მოსაზრებით, რა საშუალებით? ეს ხომ ჯილდოს გამცემთა საშინელი დამცირებაა, ეს ხომ იმ ბრბოს შეუძლია მხოლოდ, რომელიც „გიტოთა“ აგრეგატს წარმოადგენს. ასეთი ბრბო კვლავ არის ჩვენში და ოჰი საშინელებავ, ამ ბრბოის ხელშია კანონდებლობა, სამართალი, მართველობა; ეს სამი განძი საზოგადო ცხოვრებისა, ეს სალარო ჩვენი კულტურისა.

„გიტო“ ტიპია ჩვენი ცხოვრებისა, იგი კლასიკური გამოხატულებაა საქართველოს დღევანდელი თავადაზნაურობისა. „გიტოს“ ჩინებს, ორდენებს გულგრილათ უცქერით და რომ „გიტომ“ ხანგრძლივათ იცოცხლოს საწყალს, მაშვრალთ ხიზანთ გროშებს ვართმევთ და „გიტოს“ ჯიბას ვავსებთ. ოჰ, სანამდი შესძლებენ ამ ნავით იცურაონ ცრუპატრიოტთა ზღვაში... ნაპირზე ნუთუ არ გამოხვალთ?

მაგრამ განა „გიტოს“ და მის ჯარს შეუძლია ნაპირზე გამოსვლა?

თევდ. ღლონტი.

პეტერბურგი, 14 ნოემბერი.

საბაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
## ხ. ხრისტოდულიდის
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი ...
თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 ...
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საფაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შენთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლეგანტი ქქგომეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოეპოება უოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ინსპექტორს შეატყობია და თვით მცველათაც კი დაყვებოდაო. შემდეგში ეს მუხლი სრულიად შესცვალა: ინსპექტორის წინააღმდეგი არავინ არ იყო და ყოველივე წერეთელმა მოიგონაო.

2. სასწავლებლის დირექტორის ლეონტიევის ხელით შეურაცხყოფა განიზრახა მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა: ეს ამბავი დირექტორს წერეთელმა შეატყობია, რის შედეგათაც ის იყო, რომ რამდენიმე მოსწავლე, მათ შორის წერეთელიც, ჟანდარმთა სამართველოში დაიბარეს და გააფრთხილეს, დირექტორის წინააღმდეგ თურმე რაღაცას აპირობთ და იცოდეთ—სასტიკ ზომებს მივიღებთ თქვენს წინააღმდეგო. თვისი ბრალდების დასამტკიცებლათ ბ. ცქიტიშვილმა შემდეგი სთქვა: აღნიშნული შემთხვევის წინა დღით სასწავლებლის ტალონში სადამოთი წერეთელი დირექტორთან მოსაუბრე ნახეს. მართალია, საუბრის საგანი არავის გაუგონია, მაგრამ, ალბათ, ამ საქმის შესახებ ლაპარაკობდაო. ერთი მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რა არის არაჩვეულებრივი იმაში რომ წერეთელი დირექტორს ესაუბრებოდაო, ცქიტიშვილმა განაცხადა:—არაფერიო.

3 ეგზამენების წინ დირექტორმა მოსწავლეებს რუსულ ენაში დამატებითი გამოცდა დაუნიშნა; როდესაც ამის შესახებ დირექტორს პროტესტი განუცხადეს, წერეთელმა დირექტორს უთხრა: „ეგ სურვილიი არა მთელი კლასის, არამედ რამდენიმე პირისაო“.

4 ერთხელ ამხანაგ საყვარელიძესთან მივიდა ალ. წერეთელი. მის წასვლას შემდეგ საყვარელიძესთან პოლიციელი შევიდა და დააპატიმრაო, მაშასადამე, საყვარელიძის ბინა პოლიციელს წერეთელმა უჩვენაო. აღსანიშნავია, რომ თვით საყვარელიძემ ამ დაპატიმრების შესახებ არა იცის რა და არც არას ამბობს თავის წერილებში, პირიქით, ერთ წერილში იგი ამბობს: „მე გადმოგეცა ის, რასაც სხვები ამბობდენ და არა ის,ვითომც მე დარწმუნებული გიყოვო.“

მოწმების ჩვენებით ცქიტიშვილი ძლიერ კარგს მეგობრულ განწყობილებაში იყო წერეთელთან როგორც რეალურ სასწავლებელში, ისე დასრულებას შემდეგ და ხარკოვში პირველ წელიწადს რამდენსამე ხანს წერეთელთან ერთ ბინაზეც კი ცხოვრობდაო. აგრეთვე მოწმების ჩვენებით, წერეთელი ერთს პატიოსან და გულწრფელ მოსწავლეთ ითვლებოდა რეალურ სასწავლებელში და მოძრაობის დროს დააპატიმრეს კიდეც სასწავლებელში მომხდარი ამბების გამოო. ზოგიერთმა აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ წერეთელს სასწავლებლის მთავრობა კარგათ ეპყრობოდა, როგორც კარგ მოსწავლეს, მგალობელსა და სასწავლებლის ტაძარში სადვთო წერილის მკითხველსო. ბ. ცქიტიშვილმა თვისი ბრალდების დასამტკიცებლათ სასამართლოს ორიოდე წერილი წარუდგინა, რომელშიც უფრო სხვის აზრს იმეორებდენ, ვიდრე თავისას. სასამართლო არ დამთავრდა, რადგან ბ. ცქიფურიშვილმა უნდობლობა გამოუცხადა წერეთლის ერთ მედიატორეს, ხოლო წერეთელმა თავისი მხრით ცქიტიშვილის ერთ მოსამართლეს.—ჩვენ ცქიტიშვილის მიერ წერილის შესახებ ასეთი მეტათ მძიმე ბრალდების გავრცელება განხილული საბუთების მიხედვით მოუფიქრებლობისა, ბავშური გალაშქრებისა და სხვისი პიროვნებისადმი სრული უპატივცემლობის შედეგათ მიგვაჩნია, რაც დამამტკიცებელია ადამიანის მოუმწიფებლობისა.

მედიატორე ცქიტიშვილის მხრით—გიორგი ახვლედიანი, ნაფ. ვექ. თან.—სერგო ბარამიძე, მდივანი—გ. ცაგარელი.

ვეთანხმები ამ წერილში აღნიშნულ ფაქტებს და ჩემდა ჭთავათ, განხილული საბუთების მიხედვით, ვიტყვი, რომ სტ. ცქიტიშვილი შეცთომაშია შესული და, ადვილი შესაძლებელია,—იგი უნებლიე იარაღიც იყოს სტ. წერეთლის ზოგიერთ პირად მოწინააღმდეგეთა ხელში.

თავჯდომარე დ. თუმანიშვილი.

## ხმა ხარკოვიდან.

ამხანაგების მონდობილობით არ შემიძლია არ გამოვეხმაურო და არ გამოვსთქვა ჩემი გულის წყრომა ისეთი საზიზღარი ცილის წამების შესახებ, რომელიც ამჟამათ ხარკოვში ტრიალობს. ცილისწამება, სხვისი პიროვნების გაბიაუბრება და შეურაცხყოფა გადაიქცა ერთი ჯურის ხალხთა იარაღათ და ამ იარაღს, როგორც მოუხდებათ, ისე ხმარობენ.

ყოველივე საშვალების ხმარება თავისი მიზნის მისაწევათ—აი, დევიზი ამ ვაჟბატონებისა.

სხვა იარაღი კაიხანი მოუძველდათ და ახლა მიყვეს ხელი ამ ახალ იარაღს, რომლითაც ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს იმორჩილებენ და გზა კვალს უბნევენ.

ყველას მოგეხსენებათ ის ინცინდენტი, რომელიც მოხდა ხარკოვში ამასწინათ სტ. ალ. წერეთელსა და სხვა რამდენიმე პირთა შორის. მოპირდაპირე ბანაკმა თავის დევიზიისამებ არავითარი საშვალება არ დაზოგა, რომ როგორმე წერეთლისათვის ჩირქი მოეცხო და მისი სახელი შეებღალა. თუმც მათ საქციელს პრესის საშვალებით შესაფერისი მსჯავრი დასდვეს, მაგრამ ბინძურის ლტოლვილებით აღტყინებულნი, მაინც არ სცხრებიან და ათასგვარ ინსინუაციას ავრცელებენ.

ამიტომ მთელი ამხანაგობის პირით, ვგმობ საქციელს იმ გარეწართა და ნაძირალთა, რომელთაც სურთ ჩირქი მოსცხონ ალ. წერეთლის პიროვნებას. არ ვაძლევთ უფლებას შეურაცხყონ ისეთი ადამიანი, რომელიც ერთი საუკეთესო ახალგაზდათაგანია და, რომელსაც სტუდენტთა უმრავლესობაში, დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული.

სამოცდაათი სტუდენტის მონდობილობით ბ. რთინაშვილი.

ხარკოვი. 13 ნოემბერი, 1913 წ.

## ქუთაისის თეატრი.

კვირას, 17 ნოემბერს, ქალაქის თეატრში წარმოადგინეს აკაკის ცნობილი ისტორიული პიესა „პატარა კახი“. ბევრი უმზგავსო რამე გვინახავს ქართულ სცენაზე, ბევრჯერ დაუმახინჯებიათ შინაარსიანი პიესები, არც კვირის სპექტაკლიდან გამოველოდით კარგს რასმე, მაგრამ სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ასე სამაგალითოდ დამახინჯება აკაკის მშვენიერი ლექსის, როგორიც ამ ღამის წარმოდგენაზე იყო, მგონია, რომ პირველია ჩვენს სცენაზე. ამ მხრით მართლა რომ თავი ისახელეს მოთამაშეებმა. ლაპარაკობდენ, რაც ენაზე მოადგებოდათ, თვით სთხზავდენ ლექსებს, უფრო მეტათ კი პროზით საუბრობდენ. კაცს ეგონებოდა, ამას განზრახ ჩადიანო, იმდენათ გადააჭარბა ამ სალამოს როლების უცოდინარობამ მოთამაშეთაგან. რატომ ყურადღებას არ აქცევს დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამ ბარბაროსობას, ახლა ხომ მაინც იმდენი საქმე აღარ აქვს, რომ სთქვას—დრო არა გვაქვსო.

**მადლობის გამოცხადება.**

ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო უღრმეს მადლობას უცხადებს ამავე სოფლის მცხოვრებს ნიკოლოზ ურუშაძეს, რომელმაც თავისი ახლად გადაცვლილი მეუღლის სახელობაზე შემოსწირა ხსენებული სასწავლებლის ღარიბი მოწაფეების სასარგებლოთ ათი მანეთი.

**სასწავლებლის ინსპექტორი ვ. მებუკე.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

## განცხადება.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე“

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი,
მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანეთი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი 1 მაისისთვის.
მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.
ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Сельскохозяйственная школа Александру Шаращидзе.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

# ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
## მუდმივი საწოლებით
### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №
სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

გამოცემა „სორაპანისა“
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
## კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ხარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერით სადებავით სუფთად და ლამაზათ.
## სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც ბარტიით უიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“.

ხრესილი.
სამკურნალო
## აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ქუთაისიდან ტყიბულის რკინიგზის მხარეზე.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.